არსებული მართვის სისტემის გამარტივება საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი საკითხების გათვალისწინებით და ა.შ. შესაძლებლობას მოგვცემს ჩამოვაყალიბოთ მსოფლიოს ერთიანი მართვის სისტემა. აქვე უნდა აღინიშნოს რომ მეტად მნიშვნელოვანია დარგთა სწორი შეთანაწყობა, სპეციალიზაცია, კონცენტრაცია. ეს ყველაზე მეტად ეხება ეკონომიკური ურთიერთობის ხარისხს. როგორც სახელმწიფოთა შორის დამაკავშირებელ ერთ-ერთ ფორმას. აღნიშნულ შემთხვევაში საჭიროა ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროს ერთ უწყებად ჩამოყალიბება. ტექნიკური პროგრესის პირობებში მეტად მნიშვნელოვანია ბუნებრივი რესურსების ათვისება, მუშა ხელის რაციონალურად გამოყენება სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის დონის ამაღლება. იმ მიზნით რომ უზრუნველვყოთ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება სასურსათო და სამრეწველო პროდუქციაზე მინიმალური მატერიალური შრომითი დანახარჯებით და ა.შ. სახალხო მეურნეობის დარგთა სწორი შეთანაწყობა ხელს შეუწყობს რომ განხორციელდეს სახელმწიფოს ერთიანი მართვის სისტემით ქვეყნის მართვა, ცენტრიდან პერიფერიისკენ და პირიქით. ყველა სამინისტროს მუშაობა უნდა ეფუძნებოდეს ბუნებრივი რესურსების ათვისებას ქვეყნის რეგიონების განვითარებას, სამრეწველო ქალაქების მოსახლეობის სასურსათო და სამრეწველო პროდუქციით დაკმაყოფილებას და ა.შ.

ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში უნდა ხდებოდეს მონიტორინგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო და ა.შ. ანალიზ-პროგნოზის შესაბამისი ცენტრის საშუალებით. რომელიც უნდა ახდენდეს ბუნებრივი რესურსების წარმოება, გადამამუშავება რეალიზაციის და სხვა საკითხების პროგნოზირებას. ესეიგი დარგობრივი სამინისტროების ანალიზის და მართვის ცენტრები უნდა იმართებოდეს ქვეყნის ერთიანი მართვის სისტემით, მეცნიერებათა აკადემიის მიერ. კომპლექსური მართვა უნდა ეფუძნებოდეს 10-15 წლის შედეგებს. ეკონომიკური და საფინანსო სამსახური უნდა ჩამოყალიბდეს სამინისტროში, ერთ სტრუქტურად.

1. ანალიზისა და პროგნოზირების სამეცნიერო ცენტრი;
2. დარგობრივი სამინისტროების დაგეგმვის დეპარტამენტი
3. განათლების, მეცნიერების, ინოვაციების დეპარტამენტი;
4. ბუნებრივი და შრომითი რესურსების ათვისება-გამოყენების დეპარტამენტი
5. პრივატიზაციისა და ბიზნესის დეპარტამენტი
6. შემოსავლების და კონტროლის დეპარტამენტი
7. საფინანსო და საბიუჯეტო საკითხთა დეპარტამენტი;
8. საზღვარგარეთის ქვეყნების ურთიერთობის, ვაჭრობის, ტურიზმის დეპარტამენტი;
9. ადმინისტრაციულ საკითხთა დეპარტამენტი;
10. იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტი;
11. აუდიტის დეპარტამენტი;
12. სამეურნეო საქმიანობის წარმართვის დეპარტამენტი;
13. საკანონმდებლო-ადმინისტრაციულ ორგანოებთან, საზოგადოებასთან, პრესასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
14. საგანგებო სიტუაციათა დეპარტამენტი.

სამინისტროში ამჟამად არსებული სამსახურები უნდა შეუერთდეს შესაბამის დეპარტამენტებს. ეკონომიკური სახის შესასრულებელი სამუშაოების დეპარტამენტის უფროსად უნდა დაინიშნოს ეკონომისტი, მოადგილედ კი ფინანსისტი. ფინანსურ საკითხებში კი პირიქით. მინისტრი - ეკონომისტი უნდა იქნეს არჩეული სამინისტროს

მიერ. ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრზე იქნება დამოკიდებული ქვეყნის და შესაბამისი სამინისტროების მუშაობის ხარისხი, რომლებიც დაკომპლექტდებიან მეტად კვალიფიციური სპეციალისტებით.

საზოგადოება ირჩევს სახელმწიფოს აღმასრულებელ სტრუქტურას რომელმაც უნდა განახორციელოს სახალხო მეურნეობის დარგების მართვა რომელზეც მოდის შესასრულებელი სამუშაოების 80%-ზე მეტი. შესაბამისი თანაფარდობით ხასიათდება მათ წილი სახელმწიფოებს შორის სტრუქტურებში. პარლამენტში შემავალი სტრუქტურები უნდა ჩაენაცვლოს მთავრობის სტრუქტურებს ე.ი. საზოგადოების მაკონსოლიდირებელი და აღმასრულებელი ორგანოს ერთი ფორმით ჩამოყალიბება საკმარისი იქნება ნებისმიერი სახელმწიფოს მართვისთვის. საზოგადოების მაკონსოლიდირებელ ორგანოში უნდა შედიოდეს პოლიტიკური პარტიები, რომლებიც კონკურენციის პირობებში მონაწილეობას მიიღებენ ქვეყნის აღმშენებლობაში, თავისი ინტელექტუალური შემოქმედების შესაბამისი ანაზღაურებით. რომელიც აღმასრულებელ ორგანოს წარედგინება როგორც წარმომადგენელი განსაზღვრული ვადით და არა დეპუტატი. ე.ი. პოლიტიკური პარტიები გვევლინება აღმასრულებელი სტრუქტურის ჩამოყალიბების საშუალებად. (მაკონსოლიდირებელი ორგანოს მეშვეობით).

ასეთ ვითარებაში პრეზიდენტს ეკისრება ძალთა დაბალანსება ცენტრალურ და პერიფერიულ ორგანოებს შორის, ერთიანი მართვის სისტემის შესაქმნელად. არ დაუშვას მართვის სისტემის ავტონომიებად დაყოფის შესაძლებლობები. მინისტრის არჩევა უნდა მოხდეს უწყების მიერ, პრემიერ მინისტრისა კი მინისტრების მეშვეობით ან მაკონსოლიდირებელი ორგანოს წარდგინებით. კონცეპტუალურად დარგებისა და საზოგადოების კონსოლიდაციის გარეშე შეუძლებელი ხდება სახელმწიფოს მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, რაც ძირითადად დაკავშირებულია მსოფლიოს ერთიანი მართვის სისტემის ჩამოყალიბებასთან ეს კი მზარდ მოთხოვნას უყენებს ერთიანი საკანონმდებლო ბაზის შექმნას, სადაც გათვალისწინებული იქნება რელიგიური რასობრივი საკითხები საზოგადოების (რეგიონის) ინტერესების დაცვით. რადგან არსებობს მსოფლიოს ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების ტენდენცია შესაბამისად უნდა განხორციელდეს მართვის ერთიანი სისტემა რომ მინიმუმამდე დავიყვანოთ დაპირისპირება საზოგადოებასა და სახელმწიფოებს შორის და ა.შ. სირთულის გამო აღნიშნული საკითხების განხორციელება უნდა მოხდეს ეტაპობრივად.

3. საგამომძიებლო და სასამართლო სისტემის სრულყოფის საკითხები.

ყველა ფორმაციის პირობებში დაცული უნდა იქნეს ადამიანის უფლებები, იმ მიზნით რომ დავიცვათ ადამიანის უფლებები კანონის შესაბამისად საჭიროა არსებული საგამომძიებლო და სასამართლო სტრუქტურის ერთ სისტემად ჩამოყალიბება, ამ შემთხვევაში ნებისმიერი დანაშაულის განხილვა ერთ სტრუქტურაში უფრო ეფექტიანი იქნება ვიდრე ცალკე-ცალკე, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შემცირდება მატერიალური და შრომითი დანახარჯები. ყველა დანაშაული სამოქალაქო, სისხლის, ადმინისტრაციული საქმეების გამიჯვნას ექვემდებარება. მოითხოვს შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებას, დამუშავებას, განხილვას სხვადასხვა ინსტანციებში რაც მეტად რთული პროცესია, ამ მიზნით საჭიროა საგამომძიებლო და სასამართლო სისტემის გაერთიანება. საგამომძიებლო სტრუქტურას უნდა შეეძლოს თავისი გამოძიების შესაბამისად თვითონ მოახდინოს და მისცეს სამართლებრივი შეფასება ამომწურავად განჩინების სახით. იმ შემთხვევაში თუ საჭირო იქნება მხარის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრება ის მას გაასაჩივრებს

სააპელაციო და უზენაეს სასამართლოში ე.ი. და განხილვა ჩაითვლება როგორც პირველად ინსტაციის სასამართლოში. საგამომძიებლო სასამართლოს ერთიანი სტრუქტურის შექმნა ხელს შეუწყობს ნებისმიერ საკითხზე მტკიცებულობის მოპოვებას გამოძიების სწორად წარმართვას და ა.შ. ისე რომ მინიმუმამდე შევამციროთ სხვადასხვა პირების ჩარევა ზემოქმედება რადგან პასუხის მგებლობა გადმოდის ერთ ორგანოზე .

საჭიროა მოხდეს სამოქალაქო საქმეებზე დაყოფა დაჯგუფება სირთულის მიხედვით. ადვილი საქმეები ადმინისტრაციული წესით შეიძლება განხილული იქნეს ჯარიმების სახით. ხოლო შედარებით რთული საკითხები გადაეცეს სასამართლოს რაზედაც უნდა შეიქმნას საკანონმდებლო ბაზა იმ მოთხოვნით რომ მინიმუმამდე დავიყვანოთ მატერიალური და დროის დანახარჯები პასუხის მგებლობა ყველა განხილვაზე უნდა აიღოს პირველმა ინსტაციამ ესეიგი მხარეს არ უნდა სჭირდებოდეს არჩიოს თუ ვის ეკუთვნის საკითხზე რეაგირება მტკიცებულების მოპოვებ, ექსპერტიზის დანიშვნა და ა.შ . ასეთ შემთხვევაში ყველა ტვირთი გადმოდის პირველი ინსტაციის საგამომძიებლო და სასამართლო სტრუქტურაზე. რითაც შესაბამისად განიტვირთება მეორე და მესამე ინსტაციები. რის შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდება კონკურენციის ხარისხი. რაც ხელს შეუწყობს ერთიანი მართვის სისტემის კომპლექსურად დანერგვას რომელსაც ალტერნატივა არ გააჩნია. სოციალური, მატერიალური საკითხების გათვალისწინებით. ამჟამად არსებული ყველა საგამომძიებლო დანაყოფების ერთიან სისტემაში გაერთიანება ხელს შეუწყობს სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების, სასამართლო ექსპერტიზის, საინფორმაციო საშუალებების ერთიან ბლოკად ჩამოყალიბებას რომელიც უნდა დაექვემდებარო პროკურატურას და პარლამენტს. დებულების შესაბამისად რაიონული, რეგიონალური და ცენტრალური სამსახურის უფროსები უნდა იქნეს არჩეული 6 წლის ვადით საზოგადოების მიერ.

4. სახელმწიფოს მმართველის სრულყოფის საკითხები

ნებისმიერი ფორმაციისთვის აუცილებელია საზოგადოების კონსოლიდაცია და არა დაპირისპირება, როდესაც საზოგადოება ირჩევს მმართველობის ორგანოებს მას უნდა დარჩეს სახელმწიფოს კონტროლის ფუნქცია რადაცა ფორმით, რომ თავიდან ავიცილოთ დაუმთავრებელი დაპირისპირებები, რაც უარყოფითად აისახება საზოგადოების მიმდინარე პროცესებზე. დაპირისპირება მეტ -წილად მართვის სისტემების სისუსტეზე მიუთითებს.

საჭიროა მოხდეს საზოგადოების კონსოლიდაცია, სადაც გაერთიანდება პოლიტიკური პარტიები, ომისა და შრომის ვეტერანები, ახალგაზრდები, არასამთავრობო სტრუქტურები, რელიგიის წარმომადგენლები და სხვა. მათი წარმომადგენლობა არჩევით ორგანოებში 50%-ით უნდა განისაზღვროს.

აღმასრულებელი, საკანონმდებლო და საზოგადოების ერთიანი სახით წარმოდგენა ხელს შეუწყობს მართვის სრულყოფას. მართვის სისტემის ავტონომიებად დაყოფამ ქვეყანა ამ მდგომარეობამდე მიიყვანა. საზოგადოებას უნდა გადაეცეს მაკონტროლებელი ორგანოების ფუნქციები. რადგან სახელმწიფო არ იქნება საზოგადოების გარეშე, საზოგადოება არ იქნება ეკონომიკის, მართვის, რელიგიის, ტერიტორიის გარეშე და ა.შ. რომ ჩამოყალიბდეს რეგიონალურ ჭრილში ერთიანი მართვის სისტემა - ავტონომია ის უნდა იქნეს შესწავლილი ცალკეულ ელემენტებად რეგიონის პრიორიტეტების გათვალისწინებით საზოგადოების კონსოლიდაცია ხელს შეუწყობს პოლიტიკურ პარტიებს შორის კონკურენციის ამაღლებას სახალხო დამცველი უნდა იყოს

საზოგადოების მიერ არჩეული შესაბამისად რაიონული, რეგიონალური და ცენტრალური ორგანოებით. მას უნდა შეძლოს თავისი მოქალაქის უფლებების დაცვა ნებისმიერ ქვეყანაში. კარგი იქნება თუ მასთან ერთად განვიხილავთ პრესისა და საინფორმაციო საშუალებებს, პროფკავშირებთან ერთად რომ შეიქმნას ერთიანი საზოგადოებრივი სისტემა, რომელიც ორიენტირებული იქნება საზოგადოების ინტერესების დაცვაზე.

კონსოლიდაციის ამოსავალი წერტილი იქნება, რომ პიროვნებამ არჩევით ორგანოებში დაიკავოს ღირსეული ადგილი თავისი ღირებულებების შესაბამისად. საზოგადოების ერთიანი „ფონის“ შექმნა ხელს შეუწყობს წინასწარ მიზანმიმართულად შევარჩიოთ კადრები თავისი შემოქმედების მიხედვით. დღევანდელი საარჩევნო სისტემა ვერ პასუხობს სახელმწიფოს მმართველის მოთხოვნებს, რის შედეგადაც ხდება დაპირისპირება პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებას შორის და ა.შ. რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის აღმშენებლობაზე. მოტივი იმისა რომ, პარლამენტარი და მოხელე ვერ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს, სათავე ჩვენშია. ძალთა კონსოლიდაცია, სახელმწიფოს მართვა უნდა მოხდეს პერიფერიიდან ცენტრისკენ და არა პირიქით. საჭიროა შეიქმნას უმაღლეს დამთავრებულ პირთა მომზადებისათვის სახელმწიფოს მმართველის მეცნიერებათა აკადემია. გამოსავალი ინტელექტუალურ შემოქმედებაში უნდა ვეძიოთ. მმართველის სისტემების ავტონომიებად დაყოფამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყნის აღმშენებლობაზე. აღნიშნული აკადემია მოახდენს სახელმწიფო მოხელის მომზადებას ქვეყნის ძირითადი პრიორიტეტების გათვალისწინებით. მათი წარდგენა უნდა ხდებოდეს რაიონული გამგეობის მიერ (ერთი ან ორი კანდიდატისა) მანამ სანამ არ შეიქმნება საზოგადოების მაკონსოლიდირებული ორგანო. რაიონული მოსახლეობის წარდგენის შესაბამისად, რომელიც მისაღები გამოცდის ჩაბარების შემდეგ გახდება „კურსანტი“, რომლის არჩევა მოხდება დამთავრების შემდეგ იმავე რაიონში ან გაუთვალისწინებელ პირობებში სხვაგან და ა.შ. აკადემიამ უნდა უზრუნველყოს საარჩევნო სისტემის კორდინაცია ორგანიზაციული საკითხის გათვალისწინებით, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება საზოგადოების მაკონსოლიდირებული ორგანოს წინაშე. ასეთი ფორმით საკითხის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს მუდმივად გამოთანაბრებულად მომზადდეს კადრები, რომელიც ორიენტირებული იქნება ქვეყნის აღმშენებლობაზე.

- ყველა რაიონის მიხედვით პარლამეტის ფორმირებისთვის, ხუთ მილიონიანი მოსახლეობისთვის საკმარისი იქნება 200-250 დეპუტატი (ანუ სახელმწიფო მოხელე), რის შედეგად იქმნება საპარლამენტო და სამთავრობო „ფონდი“, - იმ შემთხვევაში, როდესაც დეპუტატობის კანდიდატი ამომრჩეველთა ხმების 50 პროცენტზე მეტს მიიღებს, უმრავლესობის პრინციპით ის არჩეული უნდა იქნეს დეპუტატად.

- იმ შემთხვევაში, როდესაც დეპუტატობის კანდიდატები მიიღებენ ხმათა 50 პროცენტზე ნაკლებს, არჩევნებში მათ შორის უნდა მოხდეს ურთიერთარჩევა ხმათა უმრავლესობის პრინციპით ან გათამაშებით;

- კანდიდატი პარლამენტის თავჯდომარის თანამდებობაზე არჩეული უნდა იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც ის მიიღებს ამომრჩეველების 50 პროცენტზე მეტ ხმას;

- იმ კანდიდატების არჩევა, რომლებიც ვერ მიიღებენ ხმათა 50 პროცენტს პარლამენტის თავჯდომარის თანამდებობის დასაკავებლად, უნდა მოხდეს პარლამენტის მიერ ხმათა უმრავლესობის პრინციპით;

- იმ შემთხვევაში, როდესაც ამომრჩეველი 50 პროცენტზე მეტ ხმას მისცემს პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატის არჩევას, კანდიდატი ხმათა უმრავლესობის პრინციპით უნდა იქნეს არჩეულ პრეზიდენტად;

იმ კანდიდატების არჩევა, რომლებიც ვერ მიიღებენ ხმათა 50 პროცენტს პრეზიდენტის თანამდებობის დასაკავებლად, უნდა მოხდეს პარლამენტის მიერ კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობის პრინციპით

- იმ შემთხვევაში, როდესაც ამომრჩეველი 50 პროცენტზე მეტ ხმას მისცემს პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატის არჩევას, კანდიდატი ხმათა უმრავლესობის პრინციპით უნდა იქნეს არჩეულ პრეზიდენტად;

- იმ კანდიდატების არჩევა, რომლებიც ვერ მიიღებენ ხმათა 50 პროცენტს პრეზიდენტის თანამდებობის დასაკავებლად, უნდა მოხდეს პარლამენტის მიერ კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობის პრინციპით. საგანგებო სიტუაციაში პრეზიდენტის, პარლამენტის თანჯდომარის, პრემიერ-მინისტრის საარჩევნო ხარისხის ამაღლების მიზნით, „ელიტის“ მისაღებად არსებული 250-კაციანი პარლამენტის, ანუ სამთავრობო ფონიდან, უნდა მოხდეს 50 პროცენტის გადარჩევა, ე.ი. 125 კაციდან ისევ ხდება 63-ის არჩევა, რომლებიც თავის მხრივ აირჩევენ სამ კანდიდატს - პრეზიდენტს, პარლამენტის თავჯდომარეს და პრემიერ - მინისტრს. მათი შეუთანხმებლობის შემთხვევაში მოხდეს გათამაშების მიხედვით თანამდებობის დაკავება.

მეტად მნიშვნელოვნად გვესახება საარჩევნო ბიულეტენის ახალი ფორმის შემოღება, სადაც აღნიშნული იქნება დეპუტატობის, პარლამენტის თავჯდომარის და პრეზიდენტის კანდიდატის დასახელება. ბიულეტენს ორივე მხარეს ექნება (იდენტური ნომერი) აღნიშნული ამომრჩევლის სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილი და თანამდებობის მაჩვენებლები. კანდიდატის არჩევისას ამომრჩეველი ბიულეტენის მარცხენა ნაწილს დაიტოვებს. დავის შემთხვევაში ის თავისი ნომრით დაამტკიცებს, თუ ვის მისცა ხმა.

„დიფერენციულ მიდგომას“ მოითხოვს პრემიერ-მინისტრის არჩევა. თავისი სპეციფიკურობისა და სირთულის მიხედვით, მასზე ბევრადაა დამოკიდებული სახელმწიფს მართვის საკითხი. მინისტრთა, ასევე მათი პირველი მოადგილეების მიერ უნდა მოხდეს პრემიერ-მინისტრის არჩევა. არჩევანში პრეზიდენტის ადმინისტრაციას ეძლევა 15 ხმა, პარლამენტის სპიკერატს, კომიტეტის თავმჯდომარეებს კი შესაბამისობის მიხედვით. პარლამენტს და პრეზიდენტის ადმინისტრაციას გამონაკლის შემთხვევაში ეძლევათ პრემიერ-მინისტრის კანდიდატის წარდგენის უფლება.

დაუშვებელია პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, პიროვნებებს დაუწესდეთ ზღვარი არჩევნებში მონაწილეობის შესახებ. არჩევნები თავისთავად შერჩევა გადარჩევაა. მასზე ზღვარის დაწესება დაუშვებელია. ობიექტურად არჩევნების ჩატარების პირობებში სიმართლემ უნდა გაიმარჯვოს. ყველაფერი იქით უნდა იყოს მიმართული, რომ რაც შეიძლება მეტი აზრის გაერთიანებას მივაღწიოთ, ამავე სისტემით შეიძლება ავირჩიოთ რაიონის გამგებელი, მერი, მინისტრი და ა.შ.

საარჩევნო ვადა 5-6 წლით უნდა განისაზღვროს, რადგან დიდი დრო იხარჯება მმართველობის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. ორგანიზებული საკითხების სრულყოფის მიზნით საპრეზიდენტო, საპარლამენტო თვითმმართველობის არჩევნები საჭიროა ჩატარდეს ერთ დღეს. გამოცხადდეს მნიშვნელოვან დღედ. ის დეპუტატი, რომელიც არ შეასრულებს თავის დანაპირებს 9 თვის განმავლობაში გაწვეული უნდა იქნეს ამომრჩევლების მიერ ხმათა უმრავლესობით თავისი ანგარიშის წარდგენის შესაბამისად. არსებული საარჩევნო სიტემის შეცვლა მოხსნის ბევრ ბარიერს, შეამცირებს უმიზნო დაპირისპირებებს და, რაც მთავარია, საზოგადოებაში შეიქმნა რწმენა, რომ ხალხს კანონის უზენაესობა მოუტანს სოციალურ-მატერიალურ სიკეთეს, აამაღლებს რწმენას, რაც უცვლელად უნდა ხდებოდეს კანონის დაფუძნებით.

არ შეიძლება დაპირისპირება შიმშილობის აქცია მიჩნეული იქნეს პირველად ამოსავალ წერტილად თავისი ფორმა-შინაარსით, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის სულიერ სოციალურ-მატერიალურ საკითხებთან. ამ შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს საკითხის რეფერენდუმზე გამოტანას მოსახლეობის 51%-ით მხარდაჭერის პირობებში მისი შესრულება უნდა დაეკისროს აღმასრულებელ სტრუქტურას (ადმინისტრაციას) 3 დღის შეუსრულებლობის შემდეგ აქციის ჩატარებისას მხარე ვალდებულია ზარალი აუნაზღაუროს შეუსრულებლობის გათვალისწინებით მეორე მხარეს. რომ თავიდან ავიცილოთ გაუთვალისწინებელი შედეგები. ყოველ ოთხ წელიწადში საქართველოს პირობებში საპრეზიდენტო, საპარლამენტო და თვითმმართველობის არჩევნებში 4 მილიონი ამომრჩევლის პირობებში თუ იხარჯება 108 მილიონი ლარი ანუ 45,2 მილიონი დოლარი მსოფლიო მოსახლეობის 7,3 მილიარდის პირობებში 5,2 მილიარდი ამომრჩევლის გათვალისწინებით დაიხარჯება მთლიანად ათეული მილიარდი დოლარი. აღნიშნულ თანხაში არ შედის ის ხარჯები, რომელიც დაპირისპირებების შედეგად იქნა მიღებული ზარალი. აქვე გასათვალისწინებელია საარჩევნო ვადისა და ხარისხის გაუმჯობესების შედეგად მიღებული ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც საერთო ჯამში ეკონომია მილიარდს აღემატება

მინიმალური გაანგარიშებით. დღეს მსოფლიოში არჩევნებზე და ომზე რაც თანხა იხარჯება იმ თანხის 5%-ი რომ ხმარდებოდეს ინტელექტუალურ შემოქმედებას სულ მცირე 50%-ით შემცირდებოდა დაავადებები, შიმშილი. საზოგადოება არ იქნებოდა ფენებად დაყოფილი და ა.შ.

აქციის ჩატარებასთან დაკავშირებით უნდა დაწესდეს ჯარიმა მიყენებული მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურებისთვის, უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ მხარეს რომლის არასწორმა ქმედებამ გამოიწვია აქციის ჩატარება მთლიანი თანხიდან მოგებული მხარის საარგებლოდ ჩაირიცხოს 70%. ბიუჯეტში კი 30% აღნიშნული კანონდებლობა გავრცელდეს არჩევნების დროს არასწორი ქმედების შეეგად გამოწვეულ დანაშაულებრივ ქმედებებზე რის შედეგად მოხდა არჩევნების, გაყალბება მეორედ დანიშვნა და ა.შ. რადგან ორი მოსაზრება არსებობს პარლამენტის უფლებების შემცირებისა და აღმასრულებელი ორგანოს უფლებების ეტად მინიჭებაზე რაც უნდა ჩაითვალოს გარდამავალ პერიოდად, საკითხის სრულყოფამდე.

5. საპროგრამო მოთხოვნები არჩევით ორგანოებში კანდიდატის თანამდებობის დასაკავებლად.

თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს საზოგადოების მიერ მოწონებული პროგრამა არჩევნების ჩატარებამდე 4 თვით ადრე. პოლიტიკური პარტიების, მეცნიერების, სახელმწიფო მოღვაწეების, რელიგიის წარმომადგენლობის, ვეტერანების განხილვების შესაბამისად და ა.შ.

პრეზიდენტობის, პრემიერ-მინისტრობის, მინისტრობის, ქალაქის მერობის, დეპუტატობის ან მონაცვლე წარმომადგენლის კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს ძირითადი შემადგენლობა იმ პირებისა, ვისთანაც მოუწევს თანამშრომლობა.

აღებული ვალდებულების შესრულების შესახებ საზოგადოება უნდა იყოს ინფორმირებული ყოველ 8-9 თვეში. აღებული ვალდებულების შესრულებისას სრული შესაძლებლობა ეძლევა ამომრჩეველს მისი გამოწვევისა. კანდიდატმა ძირითადად უნდა გაამახვილოს ყურადღება:

1. ქვეყნის ძირითადი დარგის განვითარების პრიორიტეტებზე, პერსპექტივის გათვალისწინებით.
2. ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ძირითად პრიორიტეტებზე დარგთა სწორი შეთანაწყობა სპეციალიზაცია-კონცენტრაციის სრულყოფით. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად ბუნებრივი რესურსების ათვისებისა და მიწა ხელის დასაქმების გათვალისწინებით და ა.შ.
3. ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორებზე პრიორიტეტების შესაბამისად.
4. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გამტკიცება და სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფაზე და საზოგადოების აქტიურად ჩაბმაზე.
5. ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის განათლების და მეცნიერების შეთანაწყობაზე, ახალგაზრდების ინტელექტუალურ შემოქმედებაში, პოლიტიკაში, ბიზნესში, რელიგიაში, ჩართულობაზე და ა.შ. ქვეყნის მოთხოვნათა შესაბამისად.
6. სოციალური პრობლემების გადაწყვეტის საკითხებზე.
7. რეგიონის გათვალისწინებით ბუნებრივი რესურსების ათვისებასა და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაზე.
8. განდიდატმა აღნიშნულ და სხვა საკითხებთან უნდა მისცეს კომპლექსურად სრული დასაბუთება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ ჭრილში მეცნიერულ დონეზე, პერსპექტივის გათვალისწინებით რომ შესაძლებელი გახდეს არსებული პრობლემების დანერგვა.

ვიმედოვნებ, შემოქმედებითი მიდგომა ხელს შეუწყობს სახელმწიფოში მართვის სისტემის სწორად წარმართვას დაპირისპირების აღმოსაფხვრელად რომელიც პერმანენტულ ხასიათს ატარებს.

დასკვნითი ნაწილი ტექნიკური პროგრესის პირობებში კაცობრიობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება საკვები და სამკურნალო საშუალებებით ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მისაღებად მეტად მნიშვნელოვანია ახალი ტექნოლოგიით თერმული გადამუშავების გარეშე ნედლეულში არსებული შემადგენლობების შენარჩუნება-წარმოება, გადამუშავება, შენახვა, რეალიზაცია, გამოყენების, თვალსაზრისით, რომ თავიდან ავიცილოთ 45%-ით დანაკარგები.

მცენარის ექსტრაქტში შემავალი შემადგენლობების 65%-მდე არსებობა შეესაბამება ადამიანის ორგანიზმში არსებულ შემადგენლობებს, რაც საშუალებას გვაძლევს რთული დაავადებების მკურნალობა მოვახდინოთ კომპლექსურად. (მასში მიკროელემენტების შეტანა საშუალებას გვაძლევს ინფექციური და სოკოვანი დაავადების მკურნალობა მოვახდინოთ ინტენსიურ ვადებში, რომელიც ინახება ოთახის პირობებში წლების განმავლობაში).

თერმული გადამუშავების გარეშე განხორციელდა 1997 წელს ახალი ტექნოლოგიით გრეხვის გარეშე ჩაის ბუნებრივი შრობით პროდუქციის გამოშვება, რის შედეგად 80-85% ვინარჩუნებთ ჩაიში არსებულ შემადგენლობებს. აქტუალობიდან გამომდინარე ის დაინერგა მთელს მსოფლიოში, რაზედაც ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნები. დიდია მისი წვლილი, როგორც საკვები და სამკურნალო საშუალება, რომელიც გამოიყენება 1993 წლიდან მცენარის ნაკრებ ექსტრაქტში. ბუნებრივი რესურსების ათვისებაში ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური უსაფრთხოების თვალსაზრისით, მას ალტერნატივა არ გააჩნია. მეტად მნიშვნელოვანი აღნიშნული სამკურნალო ექსტრაქტების გამოყენება ვეტერინარიაში პირუტყვის მკურნალობისათვის. საკვები ექსტრაქტების კი

ზამთრის პირობებში პირუტყვის საკვებად. ნატურალურ საკვებ წვენებში მნიშვნელოვანია მკურნალობის და კვების თვალსაზრისით შემადგენლობის შენარჩუნება.

ენერგორესურსების გამოყენების გარეშე მემცენარეობის, მეცხოველეობის პროდუქციის და სამკურნალო საშუალებების მიღება ტექნიკური პროგრესის პირობებში მეტად მნიშვნელოვანია გლობალიზაციის პრობლემების გადაწყვეტასთან დაკავშირებით, რაც დარგთა, სწორ შეთანაწყობას სამრეწველო რელსებზე გადასვლის ძირითად ფაქტორად მიიჩნევა, რის შედეგად ჩამოყალიბდა ახალი კონცეპტუალური ხედვა დარგში რაც განაპირობებს ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის დარგის სინთეზირებას, რომ კომპლექსურად გადაწყდეს არსებული პრობლემები დარგთა შეთანაწყობით რაც დღევანდელ პირობებში შეუძლებელი ხდება არსებული სამკურნალო საშუალებების გამოყენებით.

მატერიალური და შრომითი დანახარჯების შემცირება სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების გათვალისწინებით. 2. ბუნებრივი რესურსების რაციონალურად ათვისება მუშახელის დასაქმება. 3. უსაფრთხო მკურნალობა კომპლექსურად რთული დაავადებების ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის სამკურნალო საშუალებების, მემცენარეობის და მეცხოველეობის პროდუქციით, რომელიც დადებითად აისახება ადამიანის ფსიქოლოგიაზე ინტენსიურ ვადებში. (წარმოება-გადამუშავება, შენახვა, რეალიზაცია, გამოყენების, გათვალისწინებით). 4. ტექნიკური პროგრესის პირობებში მეტად მნიშვნელოვანია თერმული გადამუშავების გარეშე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღება (ენერგორესურსების გამოყენების გარეშე).

დღეს მეტად მნიშვნელოვანია გლობალური დაპირისპირების აღმოფხვრა საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის, ამ მიზნით საჭიროა პრობლემა გადაიჭრას მსოფლიოს მართვის ერთიანი სისტემის შექმნით. სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების კონსოლიდაციას, სახელმწიფოს რეგიონალურ მართვას, ადამიანთა უფლებების დაცვას, ინტელექტუალური შემოქმედებით დონის ამაღლებას. პრობლემისადმი ახალი კომპლექსური მიდგომა მნიშვნელოვნად შეამცირებს კაცობრიობის წინაშე არსებულ დაპირისპირებებს, რომელიც პერმანენტულ ხასიათს ატარებს. დაპირისპირებასა და ომის შემდეგ თუ ხდება ჩართულობა საერთაშორისო ორგანიზაციების პრობლემის გადასაწყვეტად რატომ არ შეიძლება ომამდე მისი აღმოფხვრა ერთიანი მართვის სახელმწიფო სისტემის შექმნით. როგორც ცნობილია ომს არც ერთი ფორმაციისთვის სიკეთე არ მოუტანია. მსოფლიო უნდა გამოვიდეს არსებული პრობლემებიდან მტკიცე გადაწყვეტილებების მიღება-შესრულებით. მართვის ერთიანი სისტემის შექმნით დღევანდელი აუცილებლობიდან გამომდინარე. დაუშვებელია შემდგომში პარლამენტის უფლებამოსილება უნდა გადაეცეს მთავრობას რადგან მათ კომპეტენციას განეკუთვნება არსებული საკითხების 80%-ის გადაწყვეტა მსოფლიოს მასშტაბით. მის ადგილს საზოგადოების კონსოლიდაციის, სახელმწიფოს რეგიონალური მართვის, ადამიანთა უფლებების დაცვის, ინტელექტუალური შემოქმედების რეგიონალური ცენტრი და ფილიალები დაიკავებენ.

30 გამოგონება, 1 აღმოჩენა, განხილულია სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში, უნივერსიტეტებში, მეცნიერებათა აკადემიაში, სამინისტროებში, პარლამენტის შესაბამის კომიტეტებში, რის შედეგად საქართველო მთავრობამ 3.05.17 წლის N13 824 წერილით რეკომენდაცია მისცა მის დანერგვას წარმოებაში საზღვარგარეთის სპეციალისტების გათვალისწინებით. მონოგრაფიებისა და სამეცნიერო ნაშრომების. (ზოგიერთი საკითხები აღნიშნულ ეტაპზე გამოქვეყნებას არ ექვემდებარება) დამოუკიდებელი უნარჩვევების

გამოსავლენად მეტად მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ჩართულობა რეგიონალური, სამეცნიერო და ინტელექტუალური კლუბებში აღნიშნულ და სხვა საკითხების გადასაწყვეტად.

დაწესდეს მსოფლიო მნიშვნელობის პრემია ყოველ 10 წელიწადში იმ ავტორებზე, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს მრავალ დარგებში საკაცობრიო პრობლემების გადაწყვეტაში.

ტექნიკური პროგრესის პირობებში მეტად მნიშვნელოვანია დარგთა სწორი შეთანაწყობა მოხდეს მართვის ერთიანი სისტემის შესაქმნელად რაც ხელს შეუწყობს დარგების განვითარებას იმ მიზნით, რომ კომპლექსურად გადაწყდეს საკაცობრიო პრობლემები ფულადი პრემიის ოდენობა განისაზღვროს 10 000000 დოლარით შესაბამისი დებულების გათვალისწინებით.

ბიოგრაფიული მაჩვენებლები

დავიბადე მარტვილის რაიონი სოფელ კიწიაში 30 მარტს 1944 წელს მასწავლებლის ოჯახში, დავამთავრე სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმი და საქართველოს ზოოვეტერინალური სასწავლო კვლევითი ინსტიტუტი 1972 წელს. მე-4 და მე-5 დავხურე ერთ წელიწადში დაუსწრებლად მუშაობის პირობებში. სამეცნიერო კვლევითი მუშაობა დაიწყო აღნიშნულ ინსტიტუტში 1973 წელს გამოქვეყნებული მაქვს 70 სამეცნიერო ნაშრომი, 2 სამეცნიერო წიგნი, „სამრეწველო მეცხოველეობის განვითარების საკითხები“ რუსულ ენაზე (11 თაბახის) და „სიახლეების დანერგვა წარმოების სრულყოფისა და ეფექტიანობის ასამაღლებლად“ 18,5 თაბახის მოცულობით ქართულ ენაზე. თვითონ დავამზადე 5 საცდელი ნიმუში, ავითვისე 18 ტექნოლოგიის მეთოდოლოგია მკურნალობის გათვალისწინებით, გამოქვეყნებული მაქვს 100 მეტი ლექსი - კრებული. განათლების და მეცნიერების სამინისტრომ დადებითი შეფასება მისცა ინტელექტუალური კლუბის კანონმდებლობას.

1993 წელს დავაფუძნე გამომცემლობა „აკადემია“ სამეცნიერო ფონდი ინტელექტუალური კლუბი. სამეცნიერო ცენტრი გადაკეთდა შპს ტენიკის ტექნოლოგიის ეკონომიკის მართვის პრობლემების დანერგვის მეცნიერებათა აკადემიად 2020 წელს. ვარ 30 გამოგონების - ტექნოლოგიის ავტორი და 1 აღმოჩენის. ვარ ფაზისის აკადემიის და ღმერთის მოყვარულთა მეცნიერებათა მსოფლიო აკადემიის წევრი აქვე აღნიშნავ საინტერესოა შენი ხელით ააშენო სახლი დააყენო ალკოჰოლური სასმელები, დაამზადო კერძები დალიო, შენს დაწერილ ლექსზე იმღერო და იცეკვო.

პატივისცემით

აკადემიკოსი:

ლ. ჩაჩიბაია

გამოცემის რედაქტორი: ს.ზადიკაშვილი, ლ.ჯგუბურია, შეკვეთა ექსპრესს ბიულეტენი 65 ტირაჟი 200 ფასი სახელშეკრულებო. გამოიცა 12.02.19 წელს ქართულ და ინგლისურ ენაზე მოხდა შესწორების შეტანა 22.02.21წ. გამომცემლობა აკადემიის მიერ თბილისი 0167 გლდანის მე 8 მიკრო რაიონი, 9 კორპუსი გამომცემლობა აკადემიის მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი ლერი ჩაჩიბაია. მობილური: 558 148 663 ელექტრო ფოსტა: leri_chachibaia@mail.ru ფეისბუქ გვერდი: leri_chachibaia georgia inovacia.com QARTULI SIAXLEEBI.